

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №99
2014 წლის 27 მარტი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112, 3.01.2011წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დანართი NII-09-ის:

ა) დეკლარაციის დანართი „ა“-ს შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა:

1. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან შინაარსისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიუთითოს მიზეზი.

2. დანართის 1 - 3 სტრიქონებში დაფიქსირებული მონაცემები შესაძლებელია არ შეადგენდეს ამ სტრიქონების მიხედვით ჩაშლილი სტრიქონების ჯამს.

3. 1-13 სტრიქონების ჯამი (სვეტი 5) გადაიტანება მოგების გადასახადის დეკლარაციის III ნაწილის მე-15 სტრიქონში.

4. დანართის 6.1.-6.3 სტრიქონები არის საინფორმაციო ხასიათის.“;

ბ) დეკლარაციის დანართი „თ“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

გ) დეკლარაციის დანართი „კ“-ს შემდეგ დაემატოს დეკლარაციის დანართი „კ¹“ თანდართული რედაქციით;

დ) დეკლარაციის დანართი „ლ“-ს შემდეგ დაემატოს დეკლარაციის დანართი „ლ¹“ თანდართული რედაქციით.

2. 41-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოგების გადასახადის დეკლარაცია შედგება ძირითადი ნაწილისა და დანართებისაგან. დანართები დეკლარაციის განუყოფელი ნაწილია და მისი წარდგენა სავალდებულოა იმ გადასახადის გადამხდელთათვის, რომელთა საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავალი ან ხარჯები (ასევე, შეძენები) 5 მლნ და მეტ ლარს შეადგენს. ტოტალიზატორის მომწყობი პირი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილის შესაბამისად მოგების გადასახადს იხდის ამ საქმიანობის მიხედვით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავლიდან, დეკლარაციის III ნაწილში ვალდებულია შეავსოს მხოლოდ მე-16 და მე-40 სტრიქონები.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიუხედავად, საჯარო სამართლის იურიდიული პირები თავისუფლდებიან მოგების გადასახადის დეკლარაციის წარმოდგენისას დეკლარაციის დანართების შევსების ვალდებულებისაგან.“;

გ) მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. დეკლარაციის დანართ „კ“-ში და დეკლარაციის დანართ „ლ“-ში შეიტანება მონაცემები საწარმოს საბალანსო მონაცემებიდან (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად) გამომდინარე. ამასთან, ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს უფლება აქვთ აღნიშნული „კ“ და „ლ“ დანართების ნაცვლად შეავსონ „კ¹“ და „ლ¹“ დანართები.“;

დ) მე-18 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-19 პუნქტი:

„19. დეკლარაციის დანართი „კ¹“ და დეკლარაციის დანართი „ლ¹“ შეიძლება შეივსოს მხოლოდ



ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტების მიერ.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

